დროთა განმავლობაში ეს ციკლი შვიდი ძირითადი მუღამიდან, გაუმჯობესდა და დაიხვეწა ხალხური ხელოვანების მიერ, გამდიდრდა, გაფართოვდა და შეივსო ახალი მუღამებით, რითიც მიიღო მსხვილი მუსიკალური ნაწარმოების ფორმა. შედეგად, მთელი ეს ციკლი გადაიზარდა უმდიდრეს მუსიკალურ მუღამის საგანმურში, რამაც ის აქცია ჩვენი ეროვნული მუსიკის დაუვიწყარი ისტორიის ნაწილად. თვითონ შვიდი ნოტის ფაქტის არსებობა, შვიდი დღე კვირაში და შვიდი მუღამი მოწმობენ მათში რაღაც საერთოზე და ერთიანობაზე. აქედან იბადება ასეთი ფილოსოფიური ჰარმონია, რომელშიც კვირის ყოველი დღე შეესაბამება ერთ-ერთ მუღამს:

რასტი - ორშაბათი;



შური - სამშაბათი;

სეგიახი - ოთხშაბათი;

ჩახარგიახი - ხუთშაბათი;

ხუმაიუნი - პარასკევი;

ბაიათი-შირაზი - შაბათი;

შიუშტერი - ვეირა.

ასე რომ, მუღამი ერთიანდება შვიდეულში, დიალექტიკურად მოძრაობს და განვითარებება შვიდეულში, რომელიც გამოხატავს სამყაროს უსაზღვრობას და უსასრულობას. მუღამიც უსასრულოა, ამოუწურავი.

მუღამის ტრიო

მუღამისჩამოყალიბებასა და ფორმირებასთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს, რომ რელიგიასთან კავშირში მყოფი „ავაზი“ („ტონი“, „მუსიკალური ჰარმონია“), ან „ავზათი“, მოგვიანებით, გაერთიანდა გაზელთან, გარდაიქმნა მუღამში. საუკუნეების განმავლობაში აზერბაიჯანელი მომღერლები – ხანენდე, მუღამების შესრულებისას იყენებდნენ ნიზამის, ხაგანის, ფიზულის, ნასიმის, ჰარაის, შირვანის, ვაჰიდის გაზელებს. გამოჩენილი კომპოზიტორი, მუსიკათმცოდნე აფრასიაბ ბადალბეილი ასე გამოთქვამდა მუღამზე: „მუღამი - არის საფუძველი, ფუნდამენტი, ჩვენი მუსიკის საყდენი“.

მოვუსმინოთ მუსიკას

სახალხო არტისტის ალიმა გასიმოვას შესრულებით. „ბერდაშ“ მუღამიდან „შიუშტერ“-ი.

ჩვენი კომპოზიტორები როგორც შთაგონების წყაროთ, ყოველთვის იყენებდნენ მუღამებს, მუღამური ინტონაციებით.

მოვუსმინოთ მუსიკას

არიფ მელიკოვი. „სახალხო სცენა“ ბალეტიდან „ლეგენდა სიყვარულზე“.

ბალეტში „ლეგენდა სიყვარულზე“ არიფ მელიკოვმა ნაწილში, რომელიც დაწერილი იყო „სახალხო სცენა“-სთვის, გამოიყენა მუღამ „შიუშტერის“ ინტონაციები.

ვიმღეროთ ნოტებით

ტესნიფი „შიუშტერი“ მუღამიდან „შიუშტერი“.

Allegretto



ვიმღეროთ სიმღერა ნოტებით სიტყვებით

დედის დარიგება შვილისადმი
(ANANİN OĞLUNA NƏSİHƏTİ)

უზეირ ჰაჯიბეილის მუსიკა,
მირზა ბაირამოვის სიტყვები.

Bu gün dö - yüş mey - da - nin - da qoç ki - mi sən da - yan, o - ğul!
 Bir i - gid - sən a - din çi - xıb, ya - yi - lib hər ya - na, o - ğul!
 Sən i-gid - ler cer - ge - sin - de he - mi - şe gel sa - na, o - ğul!
 Do - ğub - dur mərd a - na se - ni, sən de ol mər - da - na, o - ğul!
 Qeh - re - man - liq a - di sən - de ol - sun ni - şa - ne, ay o - ğul!
 Qeh - re - man - lia a - di sən - de ol - sun ni - şa - ne, ay o - ğul! ol - sun ni - şa - ne,
 ay o - ğul!

კითხვები

- რა კავშირი აქვს ჩვენს მუღამს და კვირის დღეებს?
- ვინ არიან სიმღერა „დედის დარიგება შვილისადმი“ („Ananın oğluna nəsihəti“) ავტორები?

დავალებები: მოამზადე ზეპირი პრეზენტაცია მუღამზე.

1990 წლის 20 იანვარი და მუღამები



შეკიდთა აღეა

შეკიდთა აღეა 1990 წლის 20 იანვარს, ბაქოში შემოყვანილნი იყნენ საბჭოთა სამხედრონაწილები. მათ მიზანს წარმოადგენდა მშვიდობიან მოსახლეობაზე ზეწოლის მოხდენა, რომელმაც პროტესტის ხმა ამოიღო აზერბაიჯანის ტერიტორიული მთლიანობის დარღვევისათვის და ყოფილი საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობის ბოროტმოქმედი პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელიც ჩვენი სამშობლოს საზიანოდ მოქმედებდა. რუსულმა ჯარმა მძიმე ტექნიკის დახმარებით დაუნდობლად ჩაახშო მასობრივი

მშვიდობიანი მოსახლეობის პროტესტი. ამ ძალადობის შედეგად მოკლულნი იქნენ ასობით აზერბაიჯანელი მოქალაქეები, მიუხედავად მათი ეროვნებისა.

სისხლიან 20 იანვარს დახოცილი ხალხი დაასაფლავეს შეკიდთა ახეივანში. ამ დღიდან წითელი მიხაკები გადაიქცნენ უდანაშაულოდ მოკლული შეკიდების მიერ დაღვრილი სისხლის სიმბოლოდ. ამ დროიდან ჩვენი ხალხი აღნიშნავს 20 იანვარს, როგორც „საყოველთაო გლოვის დღეს“. ქვეყნის ტერიტორიაზე 20 იანვარი გამოცხადდა უქმე დღეთ, რომელიც გადაიქცა ჩვენი ეროვნული ისტორიის ერთ-ერთ ბრწყინვალე გმირობის მაგალითად. ზუსტად 20 იანვარს, შეკიდთა ახეივანში, ჩვენი ძველი აზერბაიჯანული სახალხო ინსტრუმენტების ხმების შესრულებით - ჰობოის, ქამანჩის, თარის და უდის (ლუთნის) ჟღერდა სამგლოვიარო „ხუმაიუნი“, „შიუშტერი“ მუღამები, ასევე სამხედრო განწილით აღსავსე მუღამი „ჩახარგიახი“.

მოვუსმინოთ მუსიკას

„ხუმაიუნი“. აზერბაიჯანული კლასიკური მუღამის ნაწყვეტი.

ვიმღეროთ ნოტებით

მუღამ „ხუმაიუნის“ ბგერათ რიგი.




მოვუსმინოთ მუსიკას

ოქტაი რაჯაბოვი. სიმფონია – რექვიემ „ჩინგიზი“-ს „რექვიემი“-ს მე – VII ნაწილი.

ეს ნაწარმოები მიღვნილია აზერბაიჯანის სახალხო გმირის, შეჰიდ ჩინგიზ მუსტაფაევისადმი. ჩვენს მიერ მოსმენილი მუსიკა უდერს გუნდის შესრულებით სიტყვების გარეშე სიმფონიური ორკესტრის თანხლებით.

სიმფონია - რექვიემ „ჩინგიზის“ „რექვიემის“ VII ნაწილი დაფუძნებულია აზერბაიჯანულ კლასიკურ მუღამ „ჰუმაიურზე“.



ჩინგიზ მუსტაფაევი.
აზერბაიჯანის
სახალხო გმირი

ვიმღეროთ სიმღერა

დედის დარიგება შვილისადმი (ANANIN OĞLUNA NƏSİHƏTİ)

უზეირ ჰაչიბეილის მუსიკა,

მირზა ბაირამოვის სიტყვები.

I

Bu gün döyük meydanında qoç kimi sən dayan, oğul,
Bir igidsən adın çıxıb, yayılıb hər yana, oğul,
Sən igidlər cərgəsində həmişə gəl səna, oğul,
Doğubdur mərd ana səni, sən də ol mərdanə oğul,
Qəhrəmanlıq adı səndə olsun nişanə, ay oğul!

II


Azərbaycan, igidlərin yayılıb dünyaya səsi,
Hər bir dağın sinəsində var bir Koroğlu qalası.
Bu qaniçən düsmənlərin tezçə alınar havası,
Çöllər ona məzar olar, kəsilər murdar nəfəsi.
Al süngünü, sanc gözünə, qoy boyansın qana, oğul!

კითხვები


1. რა ხასიათისაა აზერბაიჯანული მუღამი „ჰუმაიური“?
2. რომელი მუღამის საფუძველზეა შექმნილი, შენს მიერ მოსმენილი მუსიკალური ნიმუში ოქტაი რაჯაბოვის სიმფონია-რექვიემ „ჩინგიზი“?
3. ვინ არიან სიმღერა „დედის დარიგება შვილისადმი“ („Ananın oğluna nəsihəti“) ავტორები?

დავალებები: დავხატოთ სურათი თემაზე „შეჰიდთა ალეა 20 იანვარს“.

მუსიკალური ხმებისა და მუღამების შესახებ



ძველმა ბერძენმა ფილოსოფოსმა პითაგორამ (დაახლოებით ჩ.წ. 571-490 წწ.) გამოიგონა 7 მუსიკალური ნოტი. პითაგორემ მოათავსა ეს ნოტები, მათი სიმაღლისა და ფერების მიხედვით, მიხედვით:



სქემაში აღნიშნული დასახელებები აღებულია პირველი სიტყვების მარცვლებიდან, რომელნიც გავრცელებულნი იყვნენ შუა საუკუნეების საკლესიო ჰიმნში, რომელიც დაწერა თეორეტიკოსმა და კომპოზიტორმა, სანოტო სისტემის შემქმნელმა გვიდო დ/ არეცოს მიერ (995–1050 წწ.) წმინდა იოჰანის საპატივსაცემოდ.

Ut	queant laxis
Re	sonare fibris
Mi	ra gestorum
Fa	mili tuorum
Sol	ve polluti
La	bii reatum
Sa	ncte Iohannes

მოგვიანებით იტალიელმა მუსიკოსებმა დონიმ და ანსელმა, იმისათვის, რომ ადვილი ყოფილიყო წაკითხვა, შეცვალეს ბერძა „it“ თავისი სახელის პირველი ბერძით „დო“ (დონი), ხოლო ანსელმა ბერძა „სა“ „სი“-ზე. ეს ხმათა რიგი დღევანდელ დღემდე არ შეცვლილა.

ძველ ბერძნებს მიაჩნდათ, რომ ყოველი მე-7 ციული სხეული შესაბამებოდა ერთ-ერთ ამ 7 ტონთაგან, რომელიც აღმოაჩინა პითაგორამ. ხოლო აღმოსავლეთის მეცნიერები ასე აკავშირებდნენ 7 ციურ სხეულს მუღამებს:

- Do** – იუპიტერი – ზერიფქენდი
- Re** – სატურნი – რეხავი
- Mi** – მთავრე – ნევა
- Fa** – მერკური – ბუსელიკი
- Sol** – ვენერა – რასტი
- Lya** – მზე – არაგი
- Si** – მარსი – უშადი

იმის მიუხედავათ, რომ მუღამები გავრცელებულნი იყვნენ ფართო ტერიტორიაზე, მდინარე ნილოსიდან განგამდე, კავკასიიდან ცენტრალურ აზიამდე და შემდეგ აღმოსავლეთისაკენ სხვადასხვა სახელებით-მუღამი, მაკომი, მუკამი, დესგიახი, ტაქსიმი, რაგა, მათ გააჩნიათ საერთო ფესვები.

მოვუსმინოთ მუსიკას

მუღამ „ჰუმაიუნის“ განყოფილება „ბერდაშთი“. სრულდება აზებაიჯანის სახალხო არტისტის შაფიგა ევგაზოვას მიერ ქამანჩაზე.

უზეირ ჰაჯიბეილი. „აშილსაიაგი“. საფორტეპიანო ტრიოს შესრულებით.

ნაწარმოები „აშისიაგი“, დაწერილი ტრიოსთვის (ვიოლინო, ვიოლონჩელი და ფორტეპიანო), ეღერს აზერბაიჯანული მუღამი „შურის“ ინტონაციებზე.



სახალხო არტისტი
შაფიგა ევგაზოვა

ჯახანგირ ჯახანგიროვი. სიმფონიური პოემის „არაქსის იმ მხარეს“ („Arazin o tayında“) ნაწყვეტი.

ეს მუსიკა დაფუძნებულია მუღამ „ჰუმაიუნის“ ინტონაციებზე.

Andante. sostenuto.

გავისენოთ და ვიმღეროთ სიმღერა

ჩვენი ეზო (BİZİM HƏYƏT)

I

Bizim həyətdə çox uşaq var,
Bir-birini çox sevir onlar.

Böyük meydandır bizim həyət,
Qaynar qazandır bizim həyət.

მისამღერი:

Bax, bax, nə gözəldir bizim həyət,
Gəl, bax, nə gözəldir bizim həyət.

ფიქრöt əmirdənviს მუსიკა,
თეიმურ ელჩინის სიტყვები.

II

Uca evləri nə göyçəkdir,
Onun dörd yanı gül-ciçəkdir.
Gömgöy dənizdir bizim həyət,
Hər vaxt təmizdir bizim həyət.

ეს სიმღერა დაფუძნებულია აზერბაიჯანულ მუღამ „შურზე“.

კითხვები

- რა არის შენთვის ცნობილი, მუსიკალური ნოტების წარმოშობაზე?
- რომელი ინსტრუმენტების ტრიოსათვის არის დაწერილი უზეირ ჰაჯიბეილის „აშილსაიაგი“?
- რა ხასიათისაა სიმღერა „ჩვენი ეზო“ („Bizim həyət“)?

დავალებები: მოამზადე ზეპირი პრეზენტაცია თემაზე „მუსიკალური ხმები და მუღამები“.

მუდამები და ფოლკლორული მუსიკა სოლთან ჰაჯიბეკოვის შემოქმედებაში



სოლთან
ჰაჯიბეკოვი

სოლთან ისმაილ ოღლუ ჰაჯიბეკოვი დაიბადა 1919 წელს ქალაქ შუშაში. დაწყებითი სკოლის ორი კლასის დამთავრების შემდეგ, 1930 წელს იგი საცხოვრებლად გადმოდის ქალაქ ბაქოში, სადაც ცხოვრობს მისი ბიძის – გენიალური კომპოზიტორის უზეირ ჰაჯიბეილის ოჯახში. აქ მან დაამთავრა საშუალო-სპეციალური მუსიკალური სკოლა საყვირის კლასით. 1939 წელს სოლთან ჰაჯიბეკოვი იღებს განათლებას აზერბაიჯანის სახელმწიფო კონსერვატორიაში პროფესიონალური კომპოზიტორის ტეიდმანის კლასში. კონსერვატორიაში სწავლის პერიოდში, სცენაზე დაგვმული იქნა კომპოზიტორის მუსიკალური კომედია „Qızılıgül“ (“ვარდი”) (1940). ამ წლებში კომპოზიტორის მიერ დაწერილი იქნა კონცერტი ვიოლინოსა და სიმფონიური ორკესტრისათვის, სიმებიანი კვარტეტისათვის, სიმფონიური ვარიაციები, კანტატა და სხვა უანრების ნაწარმოებები.

კონსერვატორიის დამთავრების წელს, 1946 წელს, სოლთან ჰაჯიბეკოვმა ასევე დაამთავრა მუშაობა II სიმფონიაზე. ამ პერიოდში თურქმენეთის სახელმწიფო ოპერისა და ბალეტის თეატრის დაკვეთით იგი იწყებს მუშაობას ოპერაზე „კემინე“ და „კაზი“, მაგრამ მას ვერ ამთავრებს. ამ ნაწარმოების მუსიკის საფუძველზე ს. ჰაჯიბეკოვი წერს სიმფონიურ სურათს „ქარავანი“. 1950 წელს კომპოზიტორი ქმნის ბალეტ „გიულშენს“. 50- იან წლებში ს. ჰაჯიბეკოვმა იმოგზაურა ბულგარეთსა და ჩეხოსლოვაკიაში, სადაც მან დაწერა „ბულგარული სუიტა“ და „ჩეხური ცეკვა“ აზერბაიჯანული ხალხური ინსტრუმენტებისათვის. 1964 წელს, ინდოეთში მოგზაურობის შედეგად, კომპოზიტორმა შექმნა „სუიტა ინდოეთის“ „თემაზე“.


კომპოზიტორის სიმფონიური სურათი „ქარავანი“ დაფუძნებულია მუღამ „შურის“ „ხიჯაზის“ განყოფილების ინტონაციებზე. ეს მუსიკა ჟღერს ორკესტრში ფლეიტის შესრულებით.

მოვუსმინოთ მუსიკას

სოლტან ჰაჯიბეკოვი. ნაწყვეტი სიმფონიური სურათიდან „ქარავანი“



ფლეიტა



ქარავანი



სიმფონიური
ორკესტრი

ბალეტ „გიულშენის“, მუსიკალურ სცენაში, რომელშიც გამოხატულია ბამბის კრეფა, კომპოზიტორმა გამოიყენა სახალხო მელოდიების ინტონაციები „მწყემსური ბაიათი“ („Çoban bayatısı“).

ვიმღეროთ ნოტებით

სოლტან ჰაჯიბეკოვი. „ბამბის კრეფა“ ბალეტიდან „გიულშენი“.

Moderato

ვიმღეროთ სიმღერა

ძილისპირული (LAYLAY)

სოლტან ჰაჯიბეკოვის მუსიკა,
მირმეხტი სეიდზადეს სიტყვები.

I

Yat, ay mənim körpə quzum, a laylay,
Yat, saçları ipək qızım, a laylay.

Laylay, balam, a laylay,
Laylay, gülüm, a laylay.

II

Pəncərədən boylanıb ay, a laylay,
Yat, mən sənə deyim laylay, a laylay.
Yat, tərpədim beşiyini, a laylay,
Çəkim sənin keşiyini, a laylay.

კითხვები

- რომელ ნაწარმოებში გამოიყენა სოლტან ჰაჯიბეკოვმა მუღამ „შურის“ „ხიდჯაზის“ განყოფილების ინტონაციები?
- რომელი აზერბაიჯანული ფოლკლორის მუსიკალური ნიმუშები იქნა გამოყენებული სოლტან ჰაჯიბეკოვის მიერ ბალეტ „გიულშენში“?
- ვინ არიან სიმღერა „ძილისპირულის“ („Laylay“) ავტორები?

დავალებები: გამოხატე სიმღერა „ძილისპირულის“ („Laylay“) შინაარსი ნახატში.

ამერიკული ჯაზი და აზერბაიჯანული მუღამი



ვაგიფ
მუსტაფაზადე

მოცარტის, უ.ჰაჯიბეილის და სხვა ნაწარმოებების სწორ შესრულებას.

მუსიკალური შვიდწლედის დამთავრების შემდეგ, ვაგიფ მუსტაფაზადემ ჩააბარა ბაქოს ასაფა ზეინალის სახელობის მუსიკალურ სასწავლებელში, რომელიც დაამთავრა 1963 წელს. ამ პერიოდში იგი დიდი ოსტატობით ასრულებდა ს. რახმანინოვის, ს. პროკოფიევის ფორტეპიანოსა და სიმფონიური ორკესტრისათვის კონცერტებს, ი.ს. ბახის, ლ.ვ. ბეთჰოვენის, ვ.ა. ბოკარტის, უ.ჰაჯიბეილის და სხვა ნაწარმოებების სწორ შესრულებას.

მუსიკალური შვიდწლედის დამთავრების შემდეგ, ვაგიფ მუსტაფაზადემ ჩააბარა ბაქოს ასაფა ზეინალის სახელობის მუსიკალურ სასწავლებელში, რომელიც დაამთავრა 1963 წელს. ამ პერიოდში იგი დიდი ოსტატობით ასრულებდა ს. რახმანინოვის, ს. პროკოფიევის ფორტეპიანოსა და სიმფონიური ორკესტრისათვის კონცერტებს, ი.ს. ბახის მუსიკალურ პრელუდიებსა და ფუგებს, ვ.ა. მოცარტის სონატებს. ამასთან ერთად, ახალგაზრდა ვაგიფი ასევე გატაცებული იყო, ჯაზური მუსიკით, რომელიც ჩამოყალიბდა ამერიკაში და დასავლეთ ევროპაში. ყოველი ღამე, თვალმოუხუჭავად, იგი უსმენდა ჯაზურ მუსიკას რადიოში. ამ უანრის შესწავლით და საიდუმლოებების გახსნით, მან დაიწყო ამ უანრის გაერთიანება მუღამთან, თანამედროვე აკორდების საშუალებებით დაიწყო იმპროვიზაციები ჯაზური სტილის შესაბამისად. ვინაიდან ამ ხანაში ჯაზი იყო აკრძალული, ვაგიფ მუსტაფაზადე იძულებული გახდა გადასულიყო ქალაქ თბილისში, სადაც ქართულ სახელმწიფო ფილარმონიაში შექმნა ჯაზ-ტრიო „კავკასია“. ბაქოში დაბრუნებისას 1970 წელს, ვაგიფ მუსტაფაზადე ქმნის პირველ ქალთა ვოკალურ კვარტეტს - „ლეიილები“ აზერბაიჯანის კომპოზიტორთა კავშირთან. 1971 წელს ეს კოლექტივი აგრძელებს თავის საქმიანობას აზერბაიჯანის სახელმწიფო ტელე-რადიო კომიტეტში კვარტეტ „სევილი“-ს სახით.

1978 წელს ვაგიფ მუსტაფაზედე იღებს პირველ პრემიას VIII საერთაშორისო კონკურსზე მონაკოში, ხდება აზერბაიჯანის დამსახურებული არტისტი და სახელმწიფო პრემიის ლაურეატი.

1979 წელს აზერბაიჯანულ ტელევიზიაში, გადაცემა „მუსიკალური კლუბი მოწაფეებისათვის“ იგი გამოდის ისტორიული სიტყვით თემაზე „ჯაზი და აზერბაიჯანული მუღამები“. ამ გამოსვლიდან ერთი დღის შემდეგ, ვაგიფ მუსტაფაზადე გაემგზავრა გასტროლებზე ტაშკენტში, სადაც 1979 წლის 17 დეკემბერს გარდაიცვალა.

მოვუსმინოთ მუსიკას

ვაგიფ მუსტაფაზადე. საფორტეპიანო პიესა „მარტი“. ასრულებს ავტორი. საფორტეპიანო პიესა „მარტი“ – ჯაზური მუსიკის ნიმუში, დაფუძნებულია მუღამ „ბაიათი–ქიურდი“ – ს ინტონაციებზე. ამ ნაწარმოებებში კომპოზიტორმა ჯაზური აკორდების მელოდიური ჟღერადობისათვის გამოიყენა მარცხენა ხელი მელოდიის თანხლების სახით.

ვიმღეროთ ნოტებით

ბაგიფ მუსტაფაზადე. საფორტეპიანო პიესა „მარტის“ მელოდია.

ეს უნდა იცოდეთ

როგორც ჩანს, ამ მელოდიაში კომპოზიტორმა გამოიყენა ნიშანი, რომელსაც ეწოდება ლიგა. ლიგა – არის კავშირის ნიშანი ნოტებზე რკალის სახით. თუ ლიგით გაერთიანებულია ორი ან რამოდენიმე ერთი სიმაღლის ნოტი, მაშინ ნოტის ხანგრძლივობა იზრდება.

ვსწავლობთ ახალ სიმღერას

გაიყვანე გზები მზისკენ (GÜNƏŞƏ YOLLAR ÇƏK)

I
Sən əbədi baharsan od ürəkli,
Bir əzəmət, vüqarsan, ey gəncliyim.
Sən həmişə yaşarsan bu adınla,
Sən sabaha baxarsan, ey gəncliyim. **Əsasəmələr:**

Ənənəvən დადაშევის მუსიკა,
Büşərət ქըსეմენლის სიტყვები.

Irəli, dostum, hückum sabahlara,
Çətində, darda irəli, gəncliyim.
De gənclik hara, de bu dinclik hara
Şərəflə ötür illəri, gəncliyim.

კითხვები

- რაში გამოიხატება სიახლეები, რომელიც შემოიტანა ვაგიფ მუსტაფაზადემ მუსიკალურ კულტურაში?
- როგორია საფორტეპიანო პიესა „მარტის“ ხასიათი?
- როგორია ხასიათი და ვინ არიან ავტორები სიმღერისა „გაიყვანე გზები მზისკენ“ („Günəşə yollar çək“)?

დავალებები: დახატეთ სურათი, რომელიც ახასიათებს საფორტეპიანო პიესა „მარტს“.

ჯორჯ გერშვინი და ჯაზი



ჯორჯ გერშვინი

ჯორჯ გერშვინი – ამერიკელი კომპოზიტორი, რომელმაც პირველმა გაერთიანა ჯაზური ხასიათის მუსიკა ევროპულ სიმფონიურ მუსიკას.

ჯორჯ გერშვინმა სახელი გაითქვა თავისი ლირიული ჯაზური სიმღერებით, რომლებშიც ნათლად იგრძნობა ევროპულ მუსიკასთან კავშირი. მოგვიანებით მან დაწერა ოპერა „პორგი და ბესი“, რომელშიც ჩადებულია იდეა იმაზე, რომ „ შავკანიანები იმსახურებენ არანაკლებ ყურადღებას ვიდრე თეტკანიანები“. ეს იყო პირველი ოპერა, რომელიც დაწერილია სიმფო- ჯაზის ჟანრში. ამ სტილში ჯორჯ გერშვინმა დაწერა ასევე რამოდენიმე მსხვილი კონცერტული ნაწარმოები.

კომპოზიტორს, რომელიც სარგებლობდა ხალხში დიდი პოპულარობით, დიდი ხნის განმავლობაში იხსენებდნენ, როგორც მსუბუქი მუსიკის ავტორს, ბრალს დებდნენ იმაში, რომ იგი არ წერს სერიოზულ სიმფონიურ მუსიკას.

ერთ-ერთი მუსიკოსი წერდა ჯორჯ გერშინის მიერ შესრულებული მუსიკის თაობაზე: „ისევე, როგორც კატები უტრიალებენ ცხელი სუფის თასს, ასევე უამრავი კომპოზიტორი, უტრიალებენ ჯაზს, ელოდებიან, რომ ცოტა გაგრილდეს და შეჭამონ ისე, რომ არ დაიწვან. ჯორჯ გერშვინმა კი გადალახა ეს პრობლემა. პრინცის მსგავსად, ცნობილი ნაწარმოებიდან, მან დასტაცა ხელი კონციას, უწოდა მას პრინცესა ბოროტი დის ჯიბრზე...“

ჯორჯ გერშინმა სემოიტანა ჯაზში ევროპული მუსიკა, ხოლო ტრადიციულ ევროპულ ოპერის ჟანრში და ინსტრუმენტულ კონცერტში შემოიტანა – ზანგური ჯაზური მუსიკა, გახდა კომპოზიტორ – ნოვატორი.



ჯორჯ გერშვინი
როიალთან

მოვუსმინოთ მუსიკას


ჯორჯ გერშვინი. „რაპსოდია ბლუზის ტონში“.

ვიმღეროთ ნოტებზე

ჯორჯ გერშვინი. „რაპსოდია ბლუზის ტონში“.

Медленно

შევასრულოთ მაჟორული ტონალობა, რომელშიც ჟღერს მელოდია:



ეს უნდა იცოდე

გამა ლა-ბემოლ მაჟორი – მაჟორული გამაა 4 ბემოლის ნიშნით: სი-ბემოლი, მი-ბემოლი, ლა-ბემოლი, რე-ბემოლი.

ვიმღეროთ კუპლეტი ნოტებით და სიტყვებით

გაიყვანე გზები მზისკენ (GÜNƏŞƏ YOLLAR ÇƏK)

აზერ დადაშევის მუსიკა,
ნუსრეთ ქესემენლის სიტყვები.

Maestoso agitato con calore

Sən ə - bə - di ba - har - san od ü - rək - li,
 Bir ə - zə - mat, vü - qar - san, ey gənc - li - yim.
 Sən hə - mi - şə ya - şar - san bu a - din - la,
 Sən sa - ba - ha ba - xar - san, ey gənc - li - yim.
 Sən hə - mi - şə ya - şar - san bu a - din - la,
 Sən sa - ba - ha ba - xar - san, ey gənc - li - yim.
 ey gənc - li - yim.

კითხვები

- რომელ მუსიკალურ ქანტს შეიძლება მიაკუთვნო ჯორჯ გერშვინის ხელოვნება?
- რა ეწოდება ჯორჯ გერშვინის მიერ დაწერილ ოპერას?
- რა შეგიძლია თქვა სიმღერა „გაიყვანე გზები მზისკენ“ („Günəşə yollar çək“) ხასიათზე?

დავალებები: მოამზადე ზეპირი პრეზენტაცია ჯორჯ გერშვინზე, ინტერნეტის მასალების გამოყენებით.

აზერბაიჯანელი კომპოზიტორების შემოქმედება და მუღამ „რასტის“ ინტონაციები

ხალხური სიმღერები და ცეკვები, აშუღური მუსიკა და მუღამები, წარმოადგენენ აზერბაიჯანული ხალხური მუსიკის უანრებს, რომელნიც ყოველთვის იყვნენ ჩვენი კომპოზიტორების მშთაგონებლები. ისინი იყენებდნენ თავიანთ ნაწარმოებებში მუღამების ინტონაციებს, მათ შორის მუღამ „რასტის“ ინტონაციები. ასე მაგალითად, გენიალურმა უზეირ ჰაჯიბეკოვმა „გოგონათა გუნდი“ ოპერიდან „ასლი და ქერიმი“ გამოიყენა აზერბაიჯანული ხალხური სიმღერა „Çal-oyna“ („დაუკარი-იცეკვე“), რომელიც დაფუძნებულია მუღამ „რასტზე“. სოლოთან ჰაჯიბეკოვი „ვაცების ცეკვაში“ ბალეტ „გიულშენში“ მუღამ „რასტ“-ის ინტონაციების გამოყენებით შექმნა უმშვენიერესი მუსიკალური ნაწარმოები „იალა“-ს უანრში. ყარა ყარაევმა მუსიკალური ნიმუშის „ადაჟიოს“ ბალეტ „შვიდი ლამაზმანის“ შექმნისას მიმართავდა მუღამ „რასტის“ ინტონაციებს.

მოვუსმინოთ მუსიკას

უზეირ ჰაჯიბეილი. „გოგონების გუნდი“ ოპერიდან „ასლი და ქერიმი“.

ვიმღეროთ ნოტებით

აზერბაიჯანული ხალხური სიმღერა „Çal-oyna“ („დაუკარი-იცეკვე“), რომელიც დაფუძნებულია მუღამ „რასტზე“.



განსხვავებები

აზებაიჯანული ხალხური
სიმღერა „Çal-oyna“
(„დაუკარი - იცეკვე“).

განსხვავებები

„გოგონათა გუნდი“ უზეირ
ჰაჯიბეილი ოპერიდან
„ასლი და ქერიმი“

მსგავსება

1. სრულდება გუნდისა და ხალხური ინსტრუმენტების ორკესტრის მეშვეობით.

მელოდია

1. ედერს გუნდის და დიდი სიმფონიური ორკესტრის შესრულებით.

მოვუსმინოთ მუსიკას და ვიმღეროთ ნოტებით

ყარა ყარაევი. „ადაჯიო„ ბალეტიდან „შვიდი მზეთუნახავი“.

Adagio

ეს უნდა იცოდე

ადაჯიო – არის ცეკვა ბალეტში, რომელიც სრულდება ორი მოცეკვავის მიერ ნელ ტემპში.

ვიმღეროთ მისამღერი ნოტები სიტყვებით

გაიყვანე გზები მზისკენ
(GÜNLÜŞlü YOLLAR ÇEK)

აზერ დადაშვის მუსიკა,
ნუსრეთ ქესემენლის სიტყვები.

ამ სიმღერის მისამღერი დაფუძნებულია მუღამ „რასტ“-ის ინტონაციებზე.

კითხვები

1. რომელი მუსიკალური ნაწარმოებები არიან დაფუძნებული მუღამ „რასტ“-ზე?
2. რომელმა კომპოზიტორმა გამოიყენა თავის ოპერაში აზერბაიჯანული ხალხური სიმღერა „Çal-oyna“ („დაუკარი-იცეკვე“)?

დავალებები: მოამზადე ზეპირი პრეზენტაცია, რომელიც მიძღვნილია ხალხური მუსიკისადმი.

მცირე ჯამური შეფასება

დაასახელე ამ ფოტოსურათებზე გამოსახული ხალხის სახელები.



ტესტები

1. ვინ არის სახალხო არტისტი ალიმ კასიმოვი?

 - ა) მომღერალი ბ) ხანენდე

2. რომელი მუდამის ინტონაციებზეა დაფუძნებული „სახალხო სცენის“ მუსიკა არიფ მელიქოვის ბალეტიდან „თქმულება სიყვარულზე“?


 - ა) „ბაიათი- შირაზ“ ბ) „სეგიახი“ გ) „შიუშტერი“

3. რომელ მუსიკალურ ინსტრუმენტზე ასრულებს სახალხო არტისტი შაფიგა ეივაზოვა?

 - ა) თარი ბ) ქამანჩა გ) კანონი

4. რომელ სასულო ინსტრუმენტზე სრულდება სოლთან ჰაჯიბეკოვის სიმფონიური სურათის „ქარავანის“ მუღამ „შურის“ „ხიდჯაზის“ განყოფილების მელოდია.

 - ა) დუდუკი ბ) ფლეიტა გ) კლარნეტი



ხალხური მუსიკა და
პროფესიონალი
მუსიკოსები

ბულბული და ხალხური მუსიკა



ბულბული

აზერბაიჯანისათვის, რომელიც მსოფლიოში ცნობილია, როგორც დიდხანს-მაცხოვრებელი ხალხის სამშობლოს, 65 წლის ასაკი შეიძლება მოგვეჩენოს მცირედ. 1897 წლის 22 ივნისს ქალაქ შუშაში, რომელიც ითვლებოდა ძვირფას ზურმუხტის ქვად ბეჭედში სახელწოდებით ყარაბაღი, მაღალმთან ბუნების წიაღში, დაიბადა ბიჭი, რომელმაც მომავალში მიაღწია ვოკალური ხელოვნების მწვერვალს. მამამისმა მეშადი რზამ დაარქვა თავის შვილს მურთუზი. განუმეორებელ ბუნებასთან, ტყეებთან, შუშის ცივ წყაროებთან ერთად, მურთუზს ბავშვობიდან იპყრობდა მომღერალ-ხანენდეების მიერ ვირტუოზულად შესრულებული მელოდიური სიმღერები. მურთუზი უსტენდა მათ სიმღერებს ქორწილებში და ოცნებობდა იმ დღეზე, როდესაც თვითონაც ეგრე ლამაზად შესძლებდა სიმღერას.

მურთუზი, რომელიც ჯერ მალულად მღეროდა, შემდგომ დამოუკიდებლად მღეროდა სახალხო დღესასწაულებზე. ხალხმა, რომელმაც მოისმინეს მურთუზ მამედოვის სიმღერა შეარქვეს მას „ბულბული“ (ბულბული, მგალობელი ჩიტი). ერთხელ კომპოზიტორ ფიქრეთ ამიროვის მამა მეშადი ჯამილი დაპატიჟეს ქორწილში შუშის უბან „ჩახურში“. მან სთხოვა ქორწილის აღსაკალს ალაფ კერბელაი შუქიურს, რომ მურთუზისთვის მიეცა სიმღერის ნებართვა. ამ ქორწილში ბულბულმა ჯერ იმღერა მუდამი „მახური“, ხოლო შემდეგ – „ყარაბაღ შიქესტესი“. მისი შესრულების შემდეგ, დიდი ხნის განმავლობაში არ წყდებოდა ოვაციები. 18 წლის ასაკში ბულბული საქველმოქმედო საზოგადოებიდან იღებს მიწვევას კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ქალაქ თბილისში და ამით იგი ხდება ცნობილი მომღერალი მთელს ამიერკავკასიაში.

1920 წელს ქალაქ ბაქოში იქმნება კონსერვატორია, სადაც ბულბული 1921-1927 წლამდე ეუფლება ვოკალური ხელოვნების საიდუმლოებას.

1927 წელს ბულბული მიეგზავრება მილანში კვალითურია ასამაღლებლად. თეატრმა „ლა-სკალამ“ დიდი გავლენა მოახდინა ბულბულის ოსტატობის ჩამოყალიბებაში. 1931 წელს ბულბული დაბრუნდა ბაქოში, სადაც იწყებს თავის მოღვაწეობას აზერბაიჯანის სახელმწიფო ოპერისა და ბალეტის თეატრში სოლისტის სახით, ხოლო აზერბაიჯანის სახელმწიფო კონსერვატორიაში – პედაგოგად. 1934 წელს იგი დიდი წარმატებით ასრულებს აშიგ გარიბის პარტიას რ. გლიერის ოპერა „შაჰსენემში“. 1935 წელს - ალიარის პარტიას მ. მაგომაევის ოპერა „ნარგიზში“, კავარადოსის პარტიას პუშkinის ოპერა „ტოსკაში“, და, ბოლოს 1937 წელს - ქოროღლის პარტიას უ. ჰავაზიბეილის ოპერა „ქოროღლიში“.

1938 წელს მისი წარმატებული გამოსვლისთვის ოპერა „ქოროღლიში“ და ოპერეტა „არშინ მალ ალანში“ აზერბაიჯანული ხელოვნების დეკადის დროს მოსკოვში მას მიენიჭა სსრკ-ს სახალხო არტისტის წოდება.

1940 წელს ბულბული იღებს პროფესორის წოდებას, 1950 წელს – მას ენიჭება სსრკ-ს სახელმწიფო პრემია. ბულბული გარდაიცვალა 1961 წლის 26 სექტემბერს ქალაქ ბაქოში.

მოვუსმინოთ მუსიკას

აზერბაიჯანული ხალხური სიმღერა „მე შეყვარებული ვარ“ („Mən aşiq“). ასრულებს ბულბული.

გენიალური ხელოვან-შემსრულებელი ბულბული ხანდაზმულობის დროსაც კი ხშირად ასრულებდა აზერბაიჯანულ ხალხურ სიმღერებს, მუდამებს ხალხური ინსტრუმენტების თანმხლებით.

მოვუსმინოთ მუსიკას და ვიმღეროთ სიმღერა ნოტებით

უზეირ ჰაჯიბეილი. „არია ქოროღლი“ ოპერა „ქოროღლის“ III აქტიდან. ასრულებს ბულბული.

ვიმღეროთ სიმღერა

EVLƏRİ VAR XANA-XANA

(აზერბაიჯანული ხალხური სიმღერა)

I

Evləri var, a gülüm, xana-xana
Mən kül oldum, aman, aman,
Yana-yana.
Yaylığının yanı buta,
Məni saldın, aman, aman,
Yanar oda.

II

Obaları, a gülüm, oymaq-oymaq,
Heç olmazmiş, aman,
aman, yerdan doymaq.
Üzün gülər, ləbin qaymaq,
Yalan sözdür, aman, aman,
Yardan doymaq.

კითხვები

1. როგორია სიმღერა „Evləri var xana-xana“ – ს ხასიათი?
2. რა შეიძლება უწოდოთ ბულბულს - მომღერალი თუ ხანენდე?
3. რომელ საზღვარგარეთულ ქვეყანაში მიიღო განათლება ვოკალურ ხელოვნებაში ბულბულმა?

დავალებები: მოამზადე ზეპირი პრეზენტაცია ბულბულზე.

რაშიდ ბეიბუტოვი და ხალხური მუსიკა



**რაშიდ
ბეიბუტოვი**

აზერბაიჯანის ულამაზეს მხარეს - შუშას, რომელმაც აჩუქა მსოფლიო განძეულობას უამრავი კომპოზიტორი, შემსრულებელი, მომღერალი, ხანენდე, ხშირად უწოდებენ ჩვენი სამშობლოს მუსიკალურ აკვანს. გენიალური მომღერლის რაშიდ ბეიბუტოვის მამა – მეჯიდ ბეიბუტოვიც შუშიდან იყო წარმოშობით. იგი იყო აზერბაიჯანული ფოლკლორის მცოდნე, ასევე ბრწყინვალე მუსიკოსი. იგი ოსტატურად ასრულებდა არა მხოლოდ მუღამებს და ფოლკლორული მუსიკის ნიმუშებს, არამედ ასევე ასრულებდა არიებს ოპერებიდან.

იგი მონაწილეობდა კონცერტებში ირანში, თურქეთში, რუსეთში, პოლონეთში, იმავდროულად იგი წერდა ჩვენს მუღამებს და სიმღერებს გრამაფონის ფირფიტებზე.

რაშიდ ბეიბუტოვის დედა - წარმოშობით იყო აზერბაიჯანში ცნობილი გვარიდან - ველიკოვებიდან.

მეჯიდ ბეიბუტოვი გარკვეული ხანი ცხოვრობდა ქალაქ თბილისში, სადაც, 1915 წლის 14 დეკემბერს დაიბადა რაშიდ ბეიბუტოვი. მან მუსიკალური განათლება მიიღო ცნობილი მევიოლინე დავიდ ოისტრახის კლასში. 1943 წელს ბეიბუტოვების ოჯახი საცხოვრებლად გადავიდა ქალაქ ბაქოში. 1944 წელს ბაქოში, „ოფიცერთა სახლში“ უზეირ ჰაჯიბეილიმ მოისმინა რაშიდ ბეიბუტოვის მიერ შესრულებული ასკერის არია ოპერა „არშინ მალ ალანიდან“, რის შემდეგაც დაავალა რაშიდ ბეიბუტოვს ამავე სახელის მქონე ფილმში ასკერის როლის შესრულება.

თავისი 55 წლიანი ხელოვნების გზაზე იგი გამოვიდა კონცერტებით მსოფლიოს ასზე მეტ ქვეყანაში. თავისი ბოლო კონცერტები მან ჩაატარა თურქეთსა და ინდოეთში.

„არშინ მალ ალანში“ შესრულებული ასკერის როლისათვის რაშიდ ბეიბუტოვი 1946 წელს დაჯილდოვებული იყო სახელმწიფო პრემიით და მიენიჭა ლაურეატის წოდება. იმავე წელს მას მიენიჭა აზერბაიჯანის დამსახურებული არტისტის წოდება. 1951 წელს მას მიენიჭა აზერბაიჯანის სახალხო არტისტის წოდება., ხოლო 1959 წელს - სსრკ-ს სახალხო არტისტი. 1980 წელს მას მიენიჭა საბჭოთა კავშირის სოციალისტური შრომის გმირის წოდება ოქროს ვარსკვლავისა და ლენინის ორდენის გადაცემით., 1986 წელს მას მიენიჭა საქართველოს რესპუბლიკის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება.

რაშიდ ბეიბუტოვმა, ასევე გაითქვა სახელი, როგორც ოპერის სოლისტმა. ასე, ფიქრეთ ამიროვის ოპერაში „სევილ“ ბალაშის როლი სწორედ რაშიდ ბეიბუტოვმა შეასრულა.

გენიალური ხელოვანი რაშიდ ბეიბუტოვი, რომელმაც თავისი ხმით დაისყრო მთელი მსოფლიო, გარდაიცვალა 1989 წლის 9 ივნისს ქალაქ ბაქოში.



რაშიდ ბეიბუტოვი

მოვუსმინოთ მუსიკას

ფიქრეთ ამიროვი. ბალაშის არია ოპერა „სევილიდან“. ასრულებს რაშიდ ბეიბუტოვი.

მოვუსმინოთ მუსიკას

„Gözəlim sənsən“. აზერბაიჯანული ხალხური მუსიკა. ასრულებს რაშიდ ბეიბუტოვი.

ეს სიმღერა, მისთვის დამახასიათებელი გამჭოლი მოწყენოლობის მელოდიით, ჟღერს წყნარ ტემპში. მომღერალი, რომელსაც გააჩნია ბრწყინვალე ტენორი, ასრულებს ამ სიმღერას დიდი გემოვნებით მცირე საესტრადო ანსამბლის თანხლებით.

რაშიდ ბეიბუტოვის რეპერტუარში იყო უამრავი აზერბაიჯანული სიმღერა. მათ შორის შეიძლება გამოვყოთ ისეთი სიმღერები, როგორებიც არიან „Küçələrə su səpmişəm“, „Gül oğlan“, „De, gülüm gəlsin, ay nənə“, „Gözəlim sənsən“, „Araz üstə, buz üstə“ და მრავალი სხვანი.

მოვუსმინოთ სიმღერას და ვიმღეროთ ნოტებით

„Küçələrə su səpmişəm“. აზერბაიჯანული ხალხური სიმღერა.

Moderato cantabile

ეს უნდა იცოდე

აზერბაიჯანული ხალხური სიმღერა „Küçələrə su səpmişəm“ იყო
დამუშავებული ხმისათვის და ფორტეპიანოსათვის კომპოზიტორ
ფიქრეთ ამიროვის მიერ.

ვიძლეროთ სიმღერა ნოტები სიტყვებით

EVLƏRİ VAR XANA-XANA
(აზერბაიჯანული ხალხური სიმღერა)

Moderato

Ev - lə - ri var, a gü - lüm, xa - na - xa - na,

Mən kül ol - dum, a - man, a - man, ya - na - ya - na. na.

Yay - li - ğı - nın ya - ni bu - ta,

Mə - ni sal - dim, a - man, a - man, ya - nar o - da. da.

კითხვები

1. როგორია აზერბაიჯანული ხალხური სიმღერა „Evləri var xana-xana“ ხასიათი?
2. რომელი ანსამბლის თანხლებით იქნა შესრულებული რაშიდ ბეიბუტოვის მიერ აზერბაიჯანული ხალხური სიმღერა “Gözəlim sənsən”?
3. რომელმა კომპოზიტორმა დაამუშავა აზერბაიჯანული ხალხური სიმღერა „Küçələrə su səpmişəm“ ხმისათვის და ფორტეპიანოსათვის?

დავალებები: მოამზადე წერილობითი პრეზენტაცია მოსმენილ ხალხურ სიმღერებზე.

ხალხური მუსიკა და ხალხური ხელოვანები



**ჰუსეინგულუ
სარაბელი**



სეიდ შუშელი

XIX საუკუნის ბოლოს XX საუკუნის დასაწყისში ყარაბაღის მუღამის ვირტუოზულმა ხელოვანმა თარზე დამკვრელმა მირზა სადიხმა (სადიხ – ჯანი), პირველად შეცვალა თარზე დაკვრის ტექნიკა და შეცვალა მისი სიმების რაოდენობასამიდან თერთმეტამდე, რამაც, რა თქმა უნდა, გაზარდა მასზე მუღამების შესრულების შესაძლებლობა. სადიხ ჯანის შემდეგ მუღამის ხელოვნების განვითარებაში დიდი წვლილი მიუძღვით ბაქოელ თარზე დამკვრელ ძმებს – მირზა მანსურსა და მეშადი სულეიმანს. ჩვენი გამოჩენილი თარზე დამკვრელები მეშადი ზეინალი, მირზა ფარუხი, შირინ სალიანლი, მამედხანი და სხვა, ხოლო ვირტუოზულ ხელოვან-ხანენდეებიდან ჯაბარ გარაიაგდიოდლუ, შექილი ასკერი, მირზა ჰაჯიალაბაბა ოღლუ, მეშადი

მამედი, ჰუსეინგულუ სარაბელი, სიაგახ ისლამი და ოდნავ მოგვიანებით - სეიდ შუშელი, ხან შუშელი, ზიულფი ადიგიოზალოვი არიან მუღამის ხელოვნების კორიფეები.

მათ შემდეგ ხანებში, როგორც ბოლო თაობის კლასიკოს -ხანენდეებთან თანამშრომელი თარზე დამკვრელები ბაკრამ მანსუროვი, ახმედხან ბაკიხანოვი, ჰაჯი მამედოვი, ახსან დადაშევი, ბაბა სალახოვი, გარიბ ბაირამოვი, სერვერ იბრაგიმოვი, ალიადა გულიევი, ასევე ახალგაზრდა თარზე დამკვრელები - რამიზ გულიევი, აღასელიმ აბდულაევი და სხვა, ქამანჩაზე შემსრულებლები - გაბილ ალიევი, თალიათ ბაკიხანოვი, ელმაჳ ბადალოვი, შაფიგა ეივაზოვა და სხვა, განთქმული ხანენდეები - გაჯიბაბა გუსეინოვი, რუბაბა მურადოვა, აბულფატ ალიევი, იაგუბ მამედოვი, შოვკეთ ალექსეროვა, ალიბაბა მამედოვი, სარა გადიმოვა, ტუკეზბან ისმაილოვა, ფატმა მეხრალიევა, არიფ ბაბაევი, გადირ რუსტამოვი, ზეინაბ ხანლაროვა, სახავატ მამედოვი, საქინა ისმაილოვა, აღახან აბდულაები, ალიმ გასიმოვი და მრავალნი სხვანი, როგორც ღირსეული ტრადიციების გამგრძელებელნი, არიან მუღამის



**ჯაბარ
გარაიაგდიოდლუ**



ხან შუშელი

ხელოვან – ვირტუოზები მათთვის ყოველისათვის დამახასიათებელი განსხვავებული შესრულების ხელოვნებით.

XX საუკუნის მეორე ნახევარში თავიანთი გამორჩეული ხელოვნებით და საშემსრულებლო ღვაწლით გამოირჩეოდნენ ისეთი აზერბაიჯანელი ოსტატ-ვირტუოზები, რომელნიც უკრავდნენ გარმონზე, ესენი არიან ბრმა ახადი, თეიუბ დამიროვი, მამედალა აგაევი, თანამედროვე ოსტატთაგან - ავთანდილ ისრაფილოვი, ზაქირ მირზოვი, ბალაბანზე და კლარნეტზე შემსრულებლები - ალექპერ ასკეროვი, შამსი იმანოვი, ველი გადიმოვი, აშრაფ აშრაფზადე, ბახრუზ ზეინალოვი, ლიუთნაზე (უდი) შემსრულებლები - ახსან დადასევი, იასფ ეივაზოვი, ასკერ ალექპეროვი და სხვანი.

მოვუსმინოთ მუსიკას

რიტმული მუღამის „ყარაბაღ შიკესტესიდან“ ფრაგმენტი. ასრულებს ხან შუშელი.



გამილ ალიევი

ხალხური ოსტატები ქმნიან სიმღერებს, ცეკვებს, ტესნიფებს და ა.შ. მაგალითად, ისეთი ცნობილი სიმღერები, როგორც „Qubanın ağ alması“ („გუბის თეტრი ვაშლი“), „Şuşanın dağları“ („შუშის მთები“) დასხვა ეკუთვნის ხან შუშელს.

ხშირად კომპოზიტორები წერენ ნაწარმოებებს ამათუ იმცნობილი მუსიკალური შემსრულებლის თავისებურებების გათვალისწინებით. მაგალითად, მსოფლიოში ცნობილმა კომპოზიტორმა, სახალხო არტისტმა ქალმა, ფირანგიზ ალიზადემ დაწერა თავისი ნაწარმოები „გაბილსაიაგი“ ვიოლინოსა და ფორტეპიანოსათვის, რომელიც მიუძღვნა ქამანჩაზე ცნობილ შემსრულებელს გაბილ ალიევს.

მოვუსმინოთ მუსიკას

ფირანგიზ ალიზადე. „გაბილსაიაგი“.

ამ თავის ნაწარმოებში კომპოზიტორი მშვენივრად აჩვენებს ვიოლონჩელოზე გაბილ ალიევის მიერ ქამანჩაზე შესრულების თავისებურებებს.



ფირანგიზ ალიზადე

გავიხსენოთ და ვიძლეროთ სიმღერა

„შუშის მთები“ (ŞUŞANIN DAĞLARI)

ხან შუშელის
ლექსი და სიტყვები.

I

Şuşanın dağları başı dumanlı,
Qırmızı koftalı, yaşıl tumanlı,
Dərdindən ölməyə çoxdur gümanlı.

მისამღერი:

Ay qız, bu nə qas-göz, bu nə tel?
Ölərəm dərdindən onu bil,
Danışmasan da, barı gül.



შუშის ციხე-სიმაგრე

II

Şuşada axşamlar doğar ulduzlar,
Onlardan gözəldir gəlinlər-qızlar,
Oturub yol üstə yarını gözlər.

მისამღერი:

III

Şuşanın hər yandan gəlir sorağı,
Tərifə layiqdir İsa bulağı,
Dağları, bağları qızlar oylağı.

მისამღერი:



შუშის მთები

კითხვები

- 1.პირველმა ვინ შეცვალა თარის აღნაგობა?
- 2.რომელ ჩვენს ცნობილ ხანენდეს იცნობ?
- 3.დაასახელე ცნობილი თარისა და ქამანჩის შემსრულებლები.

დავალებები: მოამზადე ზეპირი პრეზენტაცია აზერბაიჯანულ ხალხურ ინსტრუმენტებზე.

მუდამიდან ოპერამდე



**გუსეინგულუ სარაბელი
მეჯნუნის როლში**

რომლებიც უშუალოდ კომპოზიტორს ეკუთვნის.

ამ ოპერაში მუდამები გამოყენებული არიან მუსიკალური მასალების სახით, რომელიც ხსნის პერსონაჟის ხასიათს. ამისათვის კომპოზიტორი აღნიშნავდა პარტიტურაში, თუ რომელი მუდამები იქნებიან გამოყენებულნი. ოპერა შედგებოდა 5 აქტისა და 6 სურათისაგან, დაწყებული უვერტიურით. უვერტიურაში გაჟღერებული იყო მუსიკალური ნიმუშები, რომელსაც შემდგომ ოპერაში იყენებდა. ერთ-ერთი ასეთი მისიკალურ ნიმუშს წარმოადგენს - არაბული ტომის უხუცესის ნოფელის არია, რომელიც დაფუძნებულია რიტმიულ მუღამ „ხეირათზე“. იგი წარმოადგენს მარშისებურ მუსიკალურ ნიმუშს, რომელიც მოგვიანებით იცვლება ლირიული გუნდური მუსიკის მელოდიებით სახელწოდებით „შაბუ- ხიჯრანი“.

მოვუსმინოთ მუსიკას

უზეირ ჰაჯიბეილი. „უვერტიურა“ ოპერიდან „ლეილა და მეჯნუნი“.

კომპოზიტორმა ოპერაში გამოიყენა აზერბაიჯანული ხალხური სიმღერები. „გოგონების გუნდის“ III ნაწილში გაჟღერებული მელოდია აღებულია აზერბაიჯანული ხალხური სიმღერიდან „Bu gələn yara bənzər“.

ვიმღეროთ სიმღერა ნოტებით

BU GƏLƏN YARA BƏNZƏR

(აზერბაიჯანული ხალხური სიმღერა)

Moderato

III აქტში, ტომის უხუცესის ნოფელის სახის გასახსნელად კომპოზიტორმა გამოიყენა რიტმული მუღამი „ხეირათი“.

ვსავლობთ ახალ სიმღერას

რა მშვენიერია აზერბაიჯანი!
(NƏ GOZƏLDİR AZƏRBAYCAN!)

I

Hara getsən, göz sevindir,
Könüllər aç, ürək dindir.

Elə tərpən, elə davran,
Görən desin: «Nə gözəldir
Azərbaycan!»

II

Dağ başından çən enməsin,
Etibarın tükənməsin.
Dost yaransın dostluğundan
Görən desin: «Nə gözəldir
Azərbaycan!»

Əməd սաბითოღლის მუსიკა,
İdrrażim კებირლის სიტყვები.

Əməsəmღერი:
Ayağını yerə bərk bas,
İzlərini dünyaya yaz,
Addımından qopsun tufan,
Görən desin: «Nə gözəldir
Azərbaycan!»

სიმღერა „რა მშვენიერია აზერბაიჯანი!“ („Nə gözəldir Azərbaycan“) დაფუძნებულია მუღამ „შიუშტერის“ „ტეკرიბის“ განყოფილების მელოდიაზე.

კითხვები

1. რომელი ნაწარმოების დადგმით იღებს თავის ისტორიას აზერბაიჯანული პროფესიული მუსიკა?
2. ვინ იყენებ ოპერა „ლეილა და მეჯნუნის“ ლეილასი და მეჯნუნის პირველი შემსრულებლები?
3. რომელი ხალხური სიმღერიდან არის არებული ოპერა „ლეილა და მეჯნუნის“ „გოგონათა გუნდის“ მელოდია?

დავალება: მოამზადე წერილობითი პრეზენტაცია თემაზე „მუღამი და ოპერა „ლეილა და მეჯნუნი“.

ზეინაბ ხანლაროვა და აზერბაიჯანული მუღამი



ზეინაბ ხანლაროვა

აზერბაიჯანის სახალხო არტისტი, სსრკ-ს და რიგი სხვა ქვეყნების სახალხო არტისტი ზეინაბ იახია კიზი ხანლაროვა დაიბადა 1936 წლის 28 დეკემბერს ქალაქ ბაქოში. 1956 წელს მან დაამთავრა მ. ა. საბირის სახელობის ბაქოს პედაგოგიური სასწავლებელი, ხოლო 1961 წელს - ბაქოს ა. ზეინალის სახელობის მუსიკალური ტექნიკური სახალხო არტისტის ხანენდე სეიდ შუშელის კლასი. იმავე წელს (1961) მომღერალმა დაიწყო თავისი პროფესიონალური მოღვაწეობა მ.ფ.ახუნდოვის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტად. იგი გახდა უზეირ ჰაჯიბეილის ოპერა „ლეილა და მეჯნუნის“ ლეილას როლის ასევე უზეირ ჰაჯიბეილის ოპერის „ასლი და ქერიმის“ ასლის როლის ვირტუოზული შემსრულებელი.

ზეინაბ ხანლაროვა სხვა მუსიკალურ ნიმუშებთან ერთად გახდა მუღამების ოსტატური შემსრულებელი. მუღამ „ჩახარგიახი“-ს შესრულების სირთულის მიუხედავად, პირველ ქალ შემსრულებლად სწორად ზეინაბ ხანლაროვა გახდა. თავისი პროფესიული მოღვაწეობის ხანასი ზეინაბ ხანლაროვამ შეასრულა „შაჰნაზი“, „მახური“, „გათარი“, „ბაიათი - შირაზი“ და უამრავი სხვა მუღამები. იმავდროულად ზეინაბ ხანლაროვა იყო უბადლო შემსრულებელი არა მხოლოდ აზერბაიჯანული სიმღერებისა, არამედ სხვა ხალხების სიმღერებისაც, მათ შორის კომპოზიტორის მიერ შექმნილი, აზერბაიჯანული ტესნიფებისაც. მრავალი წლის განმავლობაში ზეინაბ ხანლაროვა იყო მიღი მეჯლისის დეპუტატი. მას მინიჭებული ჰქონდა „პატივის ნიშანი“, „ხალხების მეგობრობა“, „დიდების“ („Şöhrət“), „დამოუკიდებლობის“ („İstiqlal“) ორდენები.

მოვუსმინოთ მუსიკას

ნაწყვეტი მუღამ „ჩახარგიახიდან“. ასრულებს ზეინაბ ხანლაროვა.

ზეინაბ ხანლაროვას, როგორც მუღამების, ხალხური სიმღერების, კომპოზიტორის მიერ დაწერილმა სიმღერების ვირტუოზულ შემსრულებელს, შეგვიძლია უწოდოთ ხანენდე-მომღერალი.

მოვუსმინოთ მუსიკას

უზეირ ჰაჯიბეილი. ლეილასი და იბნ სალამის დუეტი ოპერა „ლეილა და მეჯნუნიდან“.



ზეინაბ ხანლაროვა და არიფ ბაბაევი. ოპერა „ლეილა და მეჯნუნი“

ვიმღეროთ ნოტებით

უზეირ ჰაჯიბეილი. ლეილასი და იბნ სალამის დუეტის ნაწყვეტი ოპერა „ლეილა და მეჯნუნიდან“..

ვიმღეროთ სიმღერა ნოტები სიტყვებით

რა მშვენიერია აზერბაიჯანი!
(NƏ GÖZƏLDİR AZƏRBAYCAN!)

ემინ საბითოღლის მუსიკა,
იბრაჰიმ კებირლის სიტყვები.

